პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 5

20 13 წ. "26" 07.

ქ.თბილისი

შპს - ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ბარაკონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204877231) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 242-ით.
2. შპს - ბარაკონს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 ივლისის №1 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
2	მასაჟისტი	მესამე საფეხური	მასაჟისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
3	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე საფეხური	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის კვლიფიკაცია	35
4	ბუღალტერ - მოანგარიშე	მესამე საფეხური	ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	35
5	ექთნის თანაშემწე	მესამე საფეხური	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90
6	კბილის ტექნიკოსი	მესამე საფეხური	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
7	კომპიუტერული გრაფიკოსი	მესამე საფეხური	კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
8	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მესამე საფეხური	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60